დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზია“

შეფასების თარიღ(ებ)ი
29-30 ნოემბერი, 1 დეკემბერი 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
22.12.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზია“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	220414969

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქ ზუგდიდი
იურიდიული მისამართი	თაბუკაშვილის №76
ფაქტობრივი მისამართი	თაბუკაშვილის №76
საფოსტო ინდექსი	2100

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

დაწესებულების ვებ-გვერდი	**www.teiosi.edu.ge**
დაწესებულების ელ-ფოსტა	**zugdidi.gimnazia@gmail.com**
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**მანანა ნაჭყებია**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**599 17 76 37**
ელ-ფოსტა	**manananachyebia@yahoo.com**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიაში ვიზიტის შესახებ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება MES 7 22 0001305324.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	29-30 ნოემბრი, 1 დეკემბერი 2022
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ქეთევან ბოტკოველი
წევრი (სახელი, გვარი)	მაკა ნადარეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის			
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	მატერიალური რესურსი, მათ შორის:			
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები			
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის,	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას			

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
	2.6.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	.....
	2.2.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	გიმნაზიის საუკეთესო პრქტიკა რამდენიმე მიმართულებით იკვეთება. პირველი მათგანია - <u>საერთაშორისო ურთიერთობები და პროექტები.</u> სკოლას ურთიერთობა აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია „დრონთან“, რომელიც კოორდინაციას უწევს ERASMUS+ საერთაშორისო პროექტების განხორციელებას სკოლაში. აღნიშნული მიმართულებით, სკოლაში განხორციელდა არა ერთი საერთაშორისო პროექტი, მათ შორის არის 2022 წლის აპრილში განხორციელებული პროექტი „კონფილქტის მართვა“, პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა მოინახულეს ხორვატია, დაესწრნენ ვორქშოპებს, რომლის ფარგლებშიც განიხილეს კონფლიქტების მართვის სტრატეგიები, გაეცნენ ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებს. ამავე მიმართულებით აღსანიშნავია პროექტი „ტაბუ და შენ“, რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა მოინახულეს დანია, გაეცნენ სხვადასხვა ქვეყნის კულტურულ მრავლეფეროვნებებს, 2022 წლის სექტემბერში განხორციელებული პროექტი მედიაწიგნიერებაზე “Media powev youth”, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეებმა მოინახულეს ხორვატია გაეცნენ ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს და ასევე უცხოელ თანატოლებს გააცნეს ჩვენი ქვეყნის კულტურა და ტრადიციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	<u>სკოლათშორისი ურთიერთობები</u> - გიმნაზია 2017 წლიდან ყოველწლიურად ატარებს „სააღდგომო ფესტივალს“. ფესტივალის ფარგლებში მონაწილეობენ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები (25 საპატრიარქოს სკოლა და გალის რაიონის საჯარო სკოლები). აღნიშნული მიმართულებით სკოლას გაწერილი აქვს სხვადასხვა ღონისძიება, შემცნებითი (კონფერენციები, სექციური მუშაობა - საგნობრივი კათედრების გამოცდილების გაზიარება), გასართობი და კულტურული (მონახულება სხვადასხვა ეკლესია-მონასტრის), კონურსები (კალიგრაფიის). გიმნაზიის ბაზაზე შექმნილია „შემწე საზოგადოება“, რომლის ფარგლებშიც გიმნაზია მუდმივად იძიებს ადამიანებს, ორგანიზაციებს რომლებიც ეხმარებიან სკოლას. აღნიშნული საზოგადოება გარდა მატერიალური დახმარებისა ხელს უწყობს საინტერესო საკითხებზე ტრენინგებისა და შეხვედრების ჩატარებას. აღსანიშნავია ასევე, რომ გიმნაზია ყოველწლიურად ზრუნავს ღვაწლმოსილ პედაგოგებზე ქალაქის მასშტაბით და სხვადასხვა დღესასწაულს ულოცავენ მათ.

დაწესებულების მისია	ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის'' მისიაა უზრუნველყოს ხარისხიანი სწავლა-სწავლების, აღზრდისა და განვითარებისთვის ოპტიმალური გარემოს ფორმირება. **შემოქმედებითად და კრიტიკულად** მოაზროვნე, **თანამშრომლობაზე** ორიენტირებული მოზარდების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა, რომელთაც შეეძლებათ გონივრული არჩევანის გაკეთება, ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება, გამოწვევების მიღება და გაბედული ნაბიჯების გადადგმა განსხვავებული იდეებისა და შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვის გზით.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

13

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 400	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგიდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზია“ სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე, სწავლების სამივე (დაწყებით, საბაზო და საშუალო) საფეხურზე. გიმნაზიამ წარმოადგინა 2022-2023 ს/სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ამავე სკოლის დირექტორის მიერ 2022 წლის 5 სექტემბერს. **აღნიშნული გეგმის ნაწილებია:** • **გიმნაზიის მისია** • **სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები** - აღწერილია სწავლების სამივე საფეხურის მიზნები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, თითოეული საფეხურის მისია და გიმნაზიის ზოგადი მიზნები, ასევე სკოლისათვის პრიორიტეტული საგნების სწავლების მიზნები. • **საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება** - სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია სასწავლო წლის კალენდარი, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ სასწავლო წლის კალენდარს: სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად, განსაზღვრულია სასწავლო წლის დაწყება-დასრულების თარიღები, არდადეგები, მეთორმეტე და პირველ კლასელების სასწავლო წლის დასრულების თარიღები. სკოლაში სასწავლო კვირა 5 დღიანია. გარდა კონსტიტუციით განსაზღვრული უქმე დღეებისა, მისიიდან გამომდინარე, სკოლა ისვენებს ასევე (შაბათ დღეს აღდგენების ხარჯზე) რელიგიურ დღესასწაულებზე: 21 სექტემბერი -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ღვთისმშობლობა; 27 სექტემბერი - ჯვართამაღლება; 15 თებერვალი - მირქმა; 7 აპრილი - ხარება. • **დღის რეჟიმი -** სკოლაში გაკვეთილები იწყება 9 საათზე და სრულება 14:50-ზე. გაკვეთილებს შორის შესვენება 5-10 წუთი გრძელდება. გაკვეთილების ხანგრძლივობა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ ხანგრძლივობას, კერძოდ, I კლასში - 35 წუთი; II კლასში - 40 წუთი; III-XII კლასებში - 45 წუთი. • **ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და საამღზრდელო მომსახურება -** მისიიდან გამომდინარე, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგნებს - საღვთო რჯული და ძველი ქართული ენა. დამატებითი სავალდებულო საგანი მოცემულია საათობრივ ბადეშიც. გარდა ამისა, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით უფასო საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას წრეებისა და კლუბების სახით. კერძოდ, ბიბლიის შემსწავლელთა წრე და სამოქალაქო განათლების კლუბი. • **საგანმანათლებლო რესურსები -** საგნმანათლებლო პროცესისთვის, სკოლას აქვს: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები (ნუსხა დანართის N2 სახით ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას); დამხმარე ლიტერატურა, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა); საბუნებისმეტყველო ლაბორატორია; კომპიუტერული ლაბორატორია ინტერნეტით; აუდიო-ვიდეო მოწყობილობები (პროექტორი, დაფა, მულტიფუნქციური ხმის გამაძლიერებელი, DVD). • **სასკოლო საათობრივი ბადე -** განსაზღვრავს მოსწავლეთა აუცილებელი კვირეული დატვირთვის ოდენობას კლასებისა და საგნების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	• **მოსწავლის შეფასების სისტემა** - მოსწავლის შეფასების სისტემა განსაზღვრავს შეფასების მიზნებს, პრინციპებსა და ამოცანებს, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობას კლასების მიხედვით (დანართი N1). სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი, ასევე სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულის დაანგარიშების წესი. • **გაცდენები** - გაცდენები აღირიცხება დასწრების ჟურნალში, დასწრების ყოველდღიურ აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლე, სასწავლო წლის განმავლობაში, ერთ საგანში 30%-ზე მეტის გაცდენის შემთხვევაში, ფასდება ექსტერნატის საფუძველზე. • **შინ სწავლება** - სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შინ სწავლების წესი და რეგულაციები, რომლებიც თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. (შინ სწავლებაზე გადადის მოსწავლე, რომელსაც ესაჭიროება ერთ თვეზე მეტი ვადით შინ მკურნალობა). ამ შემთხვევაში გიმნაზია ადგენს განრიგს, რომლის მიხედვითაც შესაბამისი მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებენ მოსწავლესთან ვიზიტს. • **საგნობრივი კათედრები** - სკოლაში ფუნქციონირებს ექვსი საგნობირვი კათედრა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია საგნობრივი კათედრების მიზნები და ამოცანები, ფუქნცია და მოვალეობები. • **სადამრიგებლო პროგრამა** - სადამრიგებლო პროგრამაში მოცემულია დამრიგებლის მუშაობის მიზანი, დამრიგებლის მუშაობის პრინციპები, დამრიგებლის მოვალეობები. • **დისტანციური სწავლება** - სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი დისტაციური სწავლება რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბრის ბრძანების 95/ნ-ს შესაბამისად. საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	შემთხვევაში, დისტანციური სწავლებისას გამოყენებული იქნება ძირითადი პლატფორმა https://stgiorgi.edupage.orgl/, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ნებისმიერი სოციალური ქსელი (Facebook, Messenger, zoom, google meet და ა.შ.). დისტაციიური სწავლების დროს გაკვეთილების ხანგძლივობა შეესაბამება სარეკომენდაციო ხანგრძლივობას. • **ინკლუზიური განათლება** - სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლების ძირითადი კონცეფცია და მიდგომები, რომლებიც სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. • **სასკოლო სასწავლო გეგმის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობის წესები** - პედაგოგები სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტს ეცნობიან სასწავლო წლის დაწყებამდე და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები. დაზუსტებულ და დამტკიცებულ სასკოლო სასწავლო გეგმას დირექცია აცნობს სასკოლო საზოგადოებას. დამრიგებლები სასკოლო სასწავლო გეგმას (შეფასების კრიტერიუმებს, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობებს, მათი აღდგენის წესებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, მშობელთა პირველ კრებაზე, აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს. გიმზანიის დირექცია სასკოლო სასწავლო გეგმას აცნობს ნებისმიერ ახალ მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. სასკოლო სასწავლო გეგმა ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგიდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა და გეგმის დანართი N1 და N2; • ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგიდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, 2022 წლის 5 სექტემბერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც შესულია ტექნიკური ხასიათის ცვლილებები: კერძოდ, 1. ფიზიკური, შრომის და ესთეტიკური აღზრდის კათედრის დასახელება შეიცვალა და დაერქვა ესთეტიკური აღზრიდისა და სპორტის კათედრა. 2. შემაჯამებელი დავლების აღდგენის ვადა - განსაზღვრული იყო პირველი სემესტრის დასასრულს (დეკემბრის ბოლო), ხოლო ცვლილების შედეგად, შემაჯამებელი დავალების აღდგენის ვადად განისაზღვრა 10 დღე. 3. 2022-2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, პირველი კლასი დაიწყებს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესწავლას. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2022-2023 ს/წლის საათობრივ ბადეში ასახულია ყველა სავალდებულო საგანი, ეროვნულ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვის შესაბამისად. სკოლას 2022-2023 სასწავლო წლის საათობრივ ბადის მიხედვით მოსწავლეებისათვის შეთავაზებული აქვს, სკოლის მისიიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება სავალდებულო საგაკვეთილო სახით, საგნებში - საღვთო სჯული და ძველი ქართული ენა შემდეგი სქემით: 1. I-XII კლასი -საღვთო სჯული - 2 საათი; 2. V-VII კლასი - ძველი ქართული ენა - 1 საათი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, არჩევითი საგნები ისწავლება X, XI, XII კლასებში. X კლასში ისწავლება XIX-XX საუკუნის დასავლური ლიტერატურა, XI კლასში - სამედიცინო ბიოლოგია, ხოლო XII კლასში - კინოხელოვნება. პროექტული სწავლების მიმართულებით, სკოლას შერჩეული აქვს X კლასში პროექტი სამოქალაქო განათლებასა და პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ შემაჯამებელი დავალების კომპონენტში აუცილებელია მასწავლებელმა (სკოლამ) მოსწავლეს შესთავაზოს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალება. მაგალითად: ესეს დაწერა, ლაბორატირიული კვლევის ჩატარება, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა და ა.შ. **2022-2023 სასწავლო წლისათვის სკოლაში ფუნქციონირებს ექვსი საგნობრივი კათედრა:** 1. ჰუმანიტარული და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა 2. მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა 3. უცხოურ ენათა კათედრა 4. დაწყებითი კლასების კათედრა 5. ესთეტიკური ეღზრდისა და სპორტის კათედრა 6. საღვთო სჯულის კათედრა **კათედრების პორტფოლიოების ანალიზი.** კათედრების პორტფოლიოების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ პორტფოლიოებში მოცემულია: კათედრის შეხვედის ოქმები (2022-2023 სასწავლო წლის შეხვედის ორი ოქმი), გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა (კათედრაზე შემავალი საგნების მიხედვით), შეფასების სქემები, სემესტრის განმავლობაში შესასრულებელი შემაჯამებელი დავალებების თარიღები და მათი აღდგენის თარიღები; გაკვეთლზე დასწრება და მასწავლებლის შეფასება, კათედრის ფარგლებში განხორციელებული პროექტ-გაკვეთლები, თემატური მატრიცები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	შესრულებული შემაჯამებელი დავალებები. თემატურ გეგმებში მოცემულია თემის ფარგლებში განსახილველი ქვეთემები, მიზნები აქტივობები/მეთოდები, რესურსები. მოცემულია ასევე თემატური მატრიცები, რომლებიც მოიცავს: სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს, ქვესაკითხებს, კომპლექსური დავალების პირობებსა და ეტაპებს. დავალებების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ასრულებენ როგორც კომპლექსურ დავალებებს ასევე ტესტურ დავალებებს (ღია და დახურული დაბოლოებებით). მასწავლებლების მიერ გაცემული უკუკავშირი კონკრეტულია. მასში მოცემულია თუ რას გაართვა თავი მოსწავლემ კარგად, რა გაუჭირდა და როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება. სკოლა მისიიდან გამომდინარე მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტს. **ექსპერტთა ჯგუფი, სკოლაში ადგილზე ვიზიტისას, გაეცნო მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და სასწავლო თუ სოციალურ პროექტებს. მათ შორის გამორჩეულად აღსანიშნავია:** ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებების კათედრაზე განხორციელებული პროექტი: „ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ხელნაწერის კულტურულ-ისტორიული ინტერპრეტაციები. პროექტი განხორციელდა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიასა და სსიპ დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ურთერთთანამშრომლობით. პროექტის ხანგრძლივობა იყო ერთი თვე (26.09.2022-21.10.2022). ანგარიშში გაწერილია პროექტის მიზანი, შედეგები, პროექტის ეტაპები და მოსწავლეთა მიერ განხორციელებული აქტივობები, პროექტის ბიუჯეტი. აღსანიშნავია ასევე კათედრაზე მიმდინარე პროექტი „ელიონი“, რომლის ხანგრძლივობა ერთი (მიმდინარე) სემესტრია, აღნიშნული პროექტის მიზანია მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, ის მოიცავს შემდეგ ეტაპებს: 1. ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლებში შემოქმედებითი, პროზაული,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	პუბლიცისტური, სამეცნიერო და მთარგმნელობითი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა. 2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს, ზუგდიდის წმნიდა გიორგის გიმნაზიაში მოსწავლეებით დაკომპლექტებული პოეტური, სამწერლობო, სამეცნიერო და მთარგმნელობითი ჯგუფების შექმნა. 3. ლიტერატურული კრებულისათვის ნამუშევრების შერჩევა-კორექტირება. 4 კრებულის დაკაბადონება და მომზადება გამოსაცემად. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლას მომზადებული ჰქონდა აღნიშნული კრებულის ერთი სამაგალითო ეგზემპლიარი. ხოლო აღნიშნული კრებულის პრეზენტაცია და პროექტის დასკვნითი ღონისძება იგეგმება ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. პროექტის „გამოჩენილი მოღვაწეები - იონა მეუნარგია“ ფარგლებში მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია იონა მეუნარგიას მოღვაწეობის შესახებ, მოამზადეს პრეზენტაციები და შემდეგ მოინახულეს მისივე ბიუსტი. ასევე აღსანიშნავია პროექტი „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი და მისი ღირსშესანიშნაობები“. ისტორიის მიმართულებით მიმდინარე პროექტია - „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, აწმყო კი მომავლისა“. პროექტის მიზანია: მოსწავლეებში ისტორიულ, კულტურულ-ლიტერატურული და სამოქალაქო ცნობიერების გაღრმავება. პროექტი გაწერილია ოთხ ეტაპად: პირველი ეტაპი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებულ ისტორიულ-კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემეცნებით-კულტურული ღონისძიებები; მეორე ეტაპი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიული მნიშვნელობის ადგილების, ძეგლებისა ბარელიეფების პატივსაცემად ისტორიულ-კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების განხორციელება. ეტაპის ფარგლებში მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია, ზუგდიდის რაიონში მდებარე ძეგლების შესახებ (სახელწოდება, მდებარეობა, გახსნის თარიღი). მესამე ეტაპი - ზუგდიდი-ცაიშის ეპარქიაში არსებული ტაძრების მოლოცვა; მეოთხე ეტაპი - დაბრუნების შემდეგ შექმნეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	სალოცავების რუკა და წარადგინეს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეებისა და მასწავლებლების) წინაშე. აღნიშნული თვალსაჩინოება გამოფენილია სკოლის სააქტო დარბაზში. გიმნაზიის ერთ -ერთი ძლიერი მხარეა **საერთაშორისო ურთერთობები** და **საერთაშორისო პროექტები**, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეების მრავალმხრივ განვითარებას. ამ მხრივ აღსანიშნავია, გიმნაზიის ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაცია „დრონთან“, რომელიც კოოდირდინაციას უწევს ERSMUS+ საერთაშორისო პროექტების განხორციელებას სკოლაში. აღნიშნული მიმართულებით, სკოლაში განხორციელდა არა ერთი საერთაშორისო პროექტი, მათ შორის არის 2022 წლის აპრილში განხორციელებული პროექტი „კონფილქტის მართვა“, პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა მოინახულეს ხორვატია, დაესწრნენ ვორქშოპებს, რომლის ფარგლებშიც განიხილეს კონფლიქტების მართვის სტრატეგიები, გაეცნენ ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებს (აღნიშნული პროექტის დამადასტურებელი ფოტო მასალა ინახება სკოლის პროტფოლიოში). ამავე მიმართულებით აღსანიშნავია პროექტი „ტაბუ და შენ“, რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა მოინახულეს დანია, გაეცნენ სხვადასხვა ქვეყნის კულტურულ მარავალფეროვნებებს და კულტურულ ტაბუებს. 2022 წლის სექტემბერში განხორციელებული პროექტი მედიაწიგნიერებაზე “Media powev youth”, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეებმა მოინახულეს ხორვატია გაცნენ ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს და ასევე უცხოელ თანატოლებს გააცნეს ჩვენი ქვეყნის კულტურა და ტრადიციები. ასევე აღსანიშნავია სკოლის მიერ განხორციელებული საზაფხულო ბანაკები. საზაფხულო ბანაკში სკოლა იწვევს უცხოელ მოხალისეებს და სკოლის ეზოში აქვთ სხვადასხვა დაგეგმილი აქტივობები. **სოციალური პროექტი** „საახალწლო სოფელი“ - მოსწავლეებში ხელსაქმისა და მეწარმეობის წახალისების მიზნით, სკოლამ (ისტორიის მასწავლებლის ინიციატივით და მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ჩართულობით) დაგეგმა და განახორციელა საშობაო ბაზრობა - მოსწავლეთა ნამუშევრების, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. შემოსული თანხით კი დაეხმარნენ სოციალურად დაუცველ ოჯახებს. მსგავსი ღონისძიება იგეგმება ამ სასწავლო წელსაც. გარდა ამისა, სკოლაში ტარდება სხვადასხვა ღია გაკვეთილი, რომელთა ამსახველი დოკუმენტაცია (გაკვეთლის გეგმა, სურათები), მოცემულია კათედრების პროტფოლიოებში. გამორჩეულად აღსანიშნავია ის კომპლექსური დავალებები, რომლებსაც მოსწავლეები ასრულებენ სემესტრის განმავლობაში. დაწყებით კლასში თვალსაჩინოდ შესრულებული დავალებები გამოფენილია საკლასო ოთახში კედლებზე. ასეთი დავალებებია მოსწავლეთა მიერ შექმნილი კომიქსები, უცხოურ ენაში „გენეალოგიური ხე“. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სადამრიგებლო საათი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოფეროს. დამრიგებლები კლასის საჭიროებიდან გამომდინარე, წინასწარ გეგმავენ სადამრიგებლო კლასთან შეხვედრებს. შეხვედრები წარიმართება შემდეგი ფორმით: საუბრები მოსწავლეებთან; დისკუსიები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში; ვიქტორინების, ექსკურსიების ორგანიზება და ა.შ. კლასის დამრიგებლების პროტფოლიოების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ დამრიგებლები რეგულარულად ხვდებიან სადამრიგებლო კლასის მშობლებს (ზოგადი, საინფორმაციო საორგანიზაციო საკითხების გასახილველად), აქვთ შეხვედრების ოქმები, მოსწავლეთა საკონტაქტო ინფორმაცია, დამრიგებლის სამუშაო გეგმა (2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში განსახილველი საკითხების ნუსხა და შეხვედრების თარიღები). საკლასო ოთახების ვიზუალური დათვალიერებისას, ზოგიერთ საკლასო ოთახში აღმოჩნდა სადამრიგებლო საათის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების პოსტერები, რაც უდავოდ უსვამს ხაზს იმას, რომ მოსწავლეები საინტერესოდ მუშაობენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	კლასის საათის განმავლობაში. მაგალითად: რა არის ჩემთვის მეგობრობა - აღნიშნულ პოსტერზე მოსწავლეებს გამოხატული აქვთ საკუთარი მოსაზრებები და დამოკიდებულებები. „როგორ ვმართო სიბრაზე“ - ამ პოსტერზეც მოსწავლეები საკუთარ სტრატეგიებს გვთავაზობენ სიბრაზის სამართავად. საკლასო ოთახებში მოსწავლეთათვის პოზიტიური განწყობის შესაქმნელად და მიკუთვნებულობის გასაღვივებლად, გამოფენილია მათივე შესრულებული კომპლექსური დავალებები, სხვადასხვა ჯგუფური სამუშაო დროს განხორციელებული თვალსაჩინო დავალებები და ა.შ. **არაფორმალური განათლების კუთხით** სკოლაში მოქმედებს სხვადასხვა კლუბი: ჟურნალისტების კლუბი, სპორტული კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი. აღსანიშნავია **სამოქალაქო განათლების კლუბის ფარგლებში** განხორციელებული აქტივობა „გუნდური მუშაობა“. შეხვედრის ფარგლებში კლუბის წევრებმა გააცნობიერეს გუნდური მუშაობის პრინციპები და მნიშვნელობა. ამავე კლუბის წევრებმა დაგეგმეს და განახორციელეს შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრაზე კლუბის წევრებმა ისაუბრეს საერთაშორისო პროექტის განხორციელებისას მიღებულ გამოცდილებაზე. კლუბის ფარგლებში, მოსწავლეები ესტუმრნენ სოციალურ საწარმოს „მეგო-ბარი“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი მოსწავლეებს ესაუბრა სივრცის მნიშვნელობაზე, რა შესაძლებლობებს სთავაზობს რეგიონს „მეგო-ბარი“. კლუბის წევრები მონაწილეობას ღებულობენ USAID-ის პროგრამაში „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“. პროგრამა ითვალისწინებს ასოციაცია „ათინათის“ ბაზაზე ახალგაზრდული ცენტრის ჩამოყალიბებას, რომლის მიზანია: ახალგაზრდული ცენტრის ეკონომიკური ინტეგრაცია; საკვანძო კომპეტენციებისა და სასიცოცხლო უნარების განვითარება; ტოლერანტობის, ინკლუზიურობისა და დემოკრატიული ღირებულებების ხელშეწყობა, ამერიკული და დასავლური განათლების შესახებ ინფორმირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	სკოლათშორისი ურთერთბები - გიმნაზია 2017 წლიდან ყოველწლიურად ატარებს „სააღდგომო ფესტივალს“. ფესტივალში მონაწილეობენ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები (25 საპატრიარქოს სკოლა და გალის რაიონის საჯარო სკოლები). აღნიშნული მიმართულებით სკოლას გაწერილი აქვს სხვადასხვა ღონისძიება, შემეცნებითი (კონფერენციები) გასართობი და კულტურული (მონახულება სხვადასხვა ეკლესია მონასტრის), კონკურსები (კალიგრაფიის). აღნიშნულ ღონისძიებების აღწერას ახლავს ჩატარებული ღონისძიების ანგარიშები. **სკოლას ჰყავს მოსწავლეთა თვითმმართველობა** - მოსწავლეთა თვითმმართველობის პორტფოლიოში მოცემულია თვითმმართველობის შეხვედრების სამუშაო გეგმა და ასევე სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა, განხორციელებული სამუშაოების ანგარიში და ამსახველი ფოტო მასალა. თვითმმართველობის წევრებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ წევრები ერთმანეთს ხვდებიან კვირაში ერთ დღეს (სამუშაო ოთახში, რომელიც სკოლას გამოყოფილი აქვს თვითმმართველობისთვის), მსჯელობენ სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე და შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას. თვითმმართველობის დაგეგმილი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია -კინოს ჩვენების ღონისძიება, რომელიც დეკემბერში იგეგმება. ასევე თვითმმართველობის ინიციატივით, შეიქმნა წერილების დაფა, რომელზეც განთავსებულია კონვერტები და მსურველს აქვს შესაძლებლობა, ანონიმურად დატოვოს საკუთარი მოსაზრება წერილის სახით კონვერტში. თვითმმართველობამ საკუთარი ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ქალაქ ზუგდიდის მერიას წარუდგინა ანგარიში და სთხოვა შენობის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით დახმარება. მოსწავლეთა მიმართვაში ხაზგასმული იყო სკოლის პრიორიტეტები და არგუმენტირებულად იყო წარმოდგენილი მათივე თხოვნის სამართლიანობა (სკოლის მოსწავლეთა დიდ ნაწილს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	წარმოადგენს სოციალურად დაუცველი მოსწავლეები და შესაბამისად რთულია შეშით გათბობის რეგულირება). რაც შეეხება ადმინისტრაციასთან დამოკიდებულებას, მოსწავლეებს აქვთ აქტივობა - წერილი დირექტორს, რომლის ფარგლებშიც, მათ შესალებლობა აქვთ ანონიმურად მიწერონ წერილი დირექტორს და დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება და დამოკიდებულება სასურველი მიმართულებით. გიმნაზიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კათედრების პორტფოლიოების, მასწავლებელთა ინდივიდუალური პროტფოლიოების, მოსწავლეთა ნამუშევრების, სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიურების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ გიმნაზია სრულად აკმაყოფილებს სამივე საფეხურის, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგიდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა; • ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგიდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, 2022 წლის 5 სექტემბერი; • კათედრების პორტფოლიოები; • მასწავლებელთა ინდივიდუალური პორტფოლიოები; • თვითთმართველობის ანგარიში, დებულება, სამოქმედო გეგმა; • ვიზუალური დათვალირება; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ მასწავლებლებთან; • ინტერვიუ მოსწავლეებთან; • ინტერვიუ მშობლებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმითა და მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი პორტფოლიოების ანალიზით გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ შესაძლებლობას აძლევს თითოეულ მოსწავლეს. ამასთანავე, სკოლა იზიარებს ინკლუზიური განათლებისადმი საქართველოს განათლების სისტემის მიდგომას და გააჩნია მისი განხორციელებისათვის შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი. სასკოლო სასწავლო გეგმაში, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების არსი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (ვინ შეიძლება იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე), იდივიდუალური სასწავლო გეგმა - შემუშავების წესი, ვინ შეიძლება იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, სსსმ მოსწავლის შეფასება, დასწრება და გაცდენები, სსსმ მოსწავლის შინ სწავლება. სასკოლო სასწავლო გეგმას, დანართის სახით ახლავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგიდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა და გეგმის დანართი N1 და N2; • ვიზუალური დათვალირება; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული შეფასების პრინციპები შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ შეფასების კომპონენტებთან. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლის შეფასების მიზანი და ამოცანები. სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლე ფასდება სხვადასხვა ფორმით (ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოცდა და ა.შ.) სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების აღწერილობა სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების აღწერილობას. ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, I-IV კლასებსა და V კლასის I სემესტრში, მოსწავლე არ ფასდება ქულით. ასევე, საგნებში: სპორტი, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება, არჩევით საგნებსა და დამატებით, ეროვნულ სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგნებში, მოსწავლე ფასდება ჩაეთვლა/არ ჩაეთვლა-ს პრინციპით. მოსწავლის სემესტრის განმავლობაში შეფასების შემადგენელი კომპონენტებია: მიმდინარე საშინაო დავალება; მიმდინარე საკლასო დავალება; შემაჯამებელი დავალება. მიმდინარე საშინაო დავალება განმსაზღვრელი შეფასებით ფასდება VI-XII კლასებში. სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლა უპირატესობას ანიჭებს განმავითარებელ შეფსებას. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესის მიხედვით მოცემულია კონკრეტული გრაფიკი, დრო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	თუ როდის იქნება შემაჯამებელი დავალების აღდგენის შესაძლებლობა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისია სემესტრული, წლიური, საფეხურის ქულების გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევა, შეფასება და გაცდენები, გამოცდის ტიპები (წლიური გამოცდა, საშემოდგომო გამოცდა, ექსტერნატის ფორმით გამოცდა). სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო საზოგადოებისათვის სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის წესები. ამ წესების მიხედვით დამრიგებლები სასკოლო სასწავლო გეგმას (შეფასების კრიტერიუმებს, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობებს, მათი აღდგენის წესებს და სხვა) აცნობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სწავლის დაწყებისთანავე, მშობელთა პირველ კრებაზე. შეფასების კრიტერიუმები და სქემები, საგნების მიხედვით გამოკრულია საკლასო ოთახებში, საინფორმაციო კუთხეში, გარდა ამისა, საკლასო ოთახებში გამოკრულია სემესტრის განმავლობაში შესასრულებელი შემაჯამებელი დავალებების თარიღები. სკოლის მოსწავლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემასა და პრინციპებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგიდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა და გეგმის დანართი N1 და N2; • ვიზუალური დათვალიერება; • ინტერვიუ მასწავლებლებთან; • ინტერვიუ მოსწავლეებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგიდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმაში დამრიგებლის მოვალეობებში გაწერილია, რომ მან რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) უნდა მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემისა თუ წარმატების შესახებ (დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი). საჭიროების შემთხვევაში, დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია. სასწავლო წლის ბოლოს მან უნდა გაანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილზე დასწრებები, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება და ინდივიდუალურად მიაწოდოს მშობელს. მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გიმნაზიაში გამოცხადების შესახებ მშობლის ინფორმირებას კლასის დამრიგებელი ახდენს სხვადასხვა ფორმით: სატელეფონო გასაუბრებით; ონლაინ ჩართვით; sms (მოკლე ტექსტური) შეტყობინებით; ელექტრონული ფოსტით. გარდა ამისა, გიმნაზიაში მშობელთა მიღების დღედ დადგენილია ყოველი კვირის პარასკევი. აღნიშნულ დღეს მშობელს შეუძლია შეხვდეს საგნის მასწავლებლებს. ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგიდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიას“ ჰყავს მშობელთა სათათბირო. სათათბიროში გაერთიანებულია თითეული კლასის წარმომადგენელი მშობელი. გაწერილია მშობელთა სათათბიროს დებულება. სათათბიროს პორტფოლიოში მოცემულია მშობელთა სათათბიროს დაგეგმილი შეხვედრების თარიღები და განვლილი შეხვედრების ოქმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგიდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა და გეგმის დანართი N1 და N2; • ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგიდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ მშობელთა სათათბიროს დებულება; • ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგიდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ მშობელთა სათათბიროს შეხვედრების ოქმები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიაქრო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიას“ შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების წესი. ამ წესის მიხედვით გაწერილია **შიდა კონტროლის მექანიზმები:** სასწავლო - აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობისა და საგანმანათლებლო მიზნების შესრულების შესწავლა და შედეგების განხილვა პედაგოგიურ საბჭოსა და კათედრის სხდომებზე; თემატური გეგმების/კურიკულუმების/მატრიცების და საგაკვეთლო გეგმების შედგენა; სხვადასხვა სახის ინტეგრირებული და პროექტ-გაკვეთილების ორგანიზება, ჩატარება და პედაგოგთა მეთოდოლოგიებისა და გამოცდილების წარმოჩენა; საქაღალდეების წარმოება; გაკვეთლზე დასწრება და განმავითარებელი უკუკავშირი. **პედაგოგთა ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება:** მოსწავლეთა აკადემიური მიღწევა და მიღწევის სტატისტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა, ანკეტირება, ინტერვიუირება. **პედაგოგთა მუშაობის მონიტორინგი:** მართვა, სასწავლო მეთოდები, შედეგები; პროფესიული პასუხისმგებლობა. **გიმნაზიაში სწავლა-სწავლების მონიტორინგი:** შეხვედრები, გამოკითხვა, ინტერვიუ, მონაცემთა ანალიზი, სიტუაციის მუდმივი მეთვალყურეობა; შემოწმება; შეფასება. **მასწავლებლის მუშაობის მონიტორინგი:** გაკვეთილის დაგეგმვა; თემატური მატრიცა; გაკვეთილზე დასწრება; სემესტრული და წლიური ანგარიშები; მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების და მიღწევის შესწავლა. **მასწავლებლის დოკუმენტაცია:** თემატური გეგმა, მატრიცა/კურიკულუმი; მასწავლებლის სამუშაო გეგმა; შემაჯამებელი დავალების ჩატარების გრაფიკი და ჩატარებული შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზები; კომპლექსური დავალების ამახველი მასალა; საგაკვეთილო გეგმები; სემესტრული და წლიური ანგარიშები; შეფასების სქემები; მასწავლებლის პორტფოლიო. **კათედრის თავჯდომარის დოკუმენტაცია:** წლიური სამუშაო გეგმა; ჩატარებული სხდომის ოქმები; სემესტრული და წლიური ანგარიშები; ოლიმპიადების, კონფერენციების, პროექტების, პროექტ-გაკვეთილების, ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმა და ანგარიში; ჩატარებული ღონისძიებების და განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალები; გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია; კათედრის თავმჯდომარის პორტფოლიო. **დამრიგებლის დოკუმენტაცია**: სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით შედგენილი დამრიგებლის სამუშაო გეგმა; სადამრიგებლო საათისა და აღმზრდელობითი ღონისძიებების ამსახველი მასალა; მშობელთა ჩართულობის შესწავლა და ანკეტირება მშობელთა კრებებზე; მოსწავლეთა დასწრების და დისციპლინის მდგომარეობა; კლასის დამრიგებელთა სემესტრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	და წლიური ანგარიში; სხვადასხვა სახის აღმზრდელობითი ღონისძიებების ამსახველი მასალები; კლასის დამრიგებლის პორტფოლიო. დოკუმენტიდან გამომდინარე, კათედრების პორტფოლიოებში მოცემულია, კათედრის წევრების შეხვედრები და გამოცდილების გაზიარების ამსახველი დოკუმენტაცია, შეხვედრების მიზნები, შედეგები და დამადასტურებელი ფოტო მასალა. აღნიშნული ანგარიშებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები პერმანენტულად იკრიბებიან და მსჯელობენ პრობლემურ საკითხებზე, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ერთ-ერთი მათგანია „პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება“, „კიბერ-ბულინგის პრევენცია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით“, „სწავლების თანამედროვე მიდგომები“. გარდა ამისა, მასწავლებლების გაკვეთლზე დაკვირვების ანგარიშში გამოკვეთლია გაკვეთლის მიზანი, თემა, საკლასო მენეჯმენტი, გამოყენებული სწავლის სტრატეგიები, სასწავლო გარემო. კათედრების პორტფოლიოებში მოცემულია ასევე გაკვეთილზე ურთერთდასწრების ანგარიშები, გაკვეთლის გეგმები და მასწავლებლის რეფლექსია. აღნიშნული მიმართულებით, საინტერესოა გიმნაზიის დირექტორის მოადგილის პროტფოლიო. პორტფოლიოში მოცემულია 2022-2023 სასწავლო წლის სამუშაო გეგმა. 2021-2022 სასწავლო წლის ბოლოს ჩატარებული კვლევა და კვლევის ანგარიში. 2022-2023 სასწავლო წლისათვის გიმნაზიამ შეიმუშავა მშობლებთან ურთიერთობის ახალი დისტაციური ფორმატი (ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა). ყოველივე ზემოაღნიშნული, მეტყველებს იმაზე, რომ სკოლა ორიენტირებულია სასწავლო გარემოსა და ხარისხის გაუმჯობესებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგიდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა და გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	• საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები; • ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების წესი; • ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ დირექტორის მოადგილის სემესტრული / წლიური ანგარიშები; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	-
რჩევები:	-
ხარვეზები:	-
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: **☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 12 405.00 კვ.მ მიწის ფართზე განთავსებული 1859.5 კვ.მ. შენობა ნაგებობა	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:1859.5 კვ.მ. ქ. ზუგდიდში თაბუკაშვილის №76	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზია განთავსებულია 3 სართულიან მანსარდულ შენობაში, რომელიც მდებარეობს ქ. ზუგდიდში თაბუკაშვილის №76. შენობის საერთო ფართია - 1859.5 კვ.მ. (პირველი სართულის საერთო ფართი - 787,3 კვ.მ; მეორე სათულის საერთო ფართი - 795, 2 კვ.მ: მესამე სართულის საერთო ფართი - 138,5 კვ.მ) რომლის ფლობაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან და აზომვითი ნახაზით. უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების თანახმად სკოლას არსებული ფართი, საქართველოს საპატრიარქოს მიერ, გადაეცა 10 წლის ვადით 2009 წლის 26 ივნისს, ხოლო 2016 წლის 25 ოქტომბრის შეთანხმების საფუძველზე ვადა არსებულ ფართზე გაგრძელდა 2029 წლის 26 ივნისამდე. სასწავლო მიზნებისთვის, სკოლის შენობაში არის 18 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, აიტი მენეჯერის ოთახი, ადმინისტრაციის ოთახი. ბუღალტერიის ოთახი, თვითმმართველობის ოთახი, ჩოგბურთის მინი-დარბაზი, სატრაპეზო, დარაჯის ოთახი, ვიდეოკონტროლის ოთახი, ისტ-ის კაბინეტი.
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ზუგდიდი, თაბუკაშვილის №76

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	№ 43.36.02.016
კვ.მ.	12 405.00 კვ.მ მიწის ფართზე განთავსებული 1859.5 კვ.მ. შენობა ნაგებობა
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • შენობის აზომვითი ნახაზი; • სრულიად საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან (საქართველოს საპატრიარქოსთან) გაფორმებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულება; • შეთანხმება 2009 წლის 26 ივნისის უძრავი ქონების თხოვების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების და დამატების შესახებ.
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ სკოლის 18 საკლასო ოთახში განთავსებულია 247 ინდივიდუალური მერხი და შესაბამისი რაოდენობის სკამი. ყველა საკლასო ოთახში დგას მასწავლებლის მაგიდა და სკამი, კიდია დაფები, გამოკრულია მოსწავლეთა ნამუშევრები და პლაკატები, სკოლის მისია, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები სხვადასხვა მიმართულებით, ასვე გიმნაზიის ექიმის ტელეფონის ნომერი. საერთო ჯამში სკოლის მფლობელობაშია 460 ერთადგილიანი მერხი და ამავე რაოდენობის სკამი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • შენობის სკოლის ფართის აზომვითი ნახაზი; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის პირველ სართულზე განთავსებულ 50 კვ.მ. ოთახში, მოწყობილია სპორტული დარბაზი, რომელშიც განთავსებულია 2 ჩოგბურთის მაგიდა, ხოლო ეზოში დაწესებულებას აქვს 600 კვ.მ ფართის მქონე ღია სპორტული მოედანი. სპორტის სახეობებად გიმნაზიას არჩეული აქვს, ფეხბურთი, ჩოგბურთი და მძლეოსნობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიის მესამე სართულზე განთავსებულია საბუნებისმეტყველო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. კაბინეტში განთავსებულია 16 ინდივიდუალური მაგიდა და სკამი ოთახში გამოყოფილია ცალკე სივრცე ლაბორატორიული ცდების ჩასატარებლად, სადაც დამონტაჟებულია ონკანი და გამწოვი ფარი. კარადებში განთავსებულია სხვადასხვა ლაბორატორიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ჭურჭელი. კაბინეტში გამოკრულია სასკოლო ლაბორატორიების სარგებლობის წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიის შენობაში არსებულ ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. შენობა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი სისტემით, რისთვისაც გიმნაზიის საკუთრებაშია ასევე ალტერნატიული დენის წყარო -გენერატორი. შენობის სამ სართულზე განთავსებულია 16 სველი წერტილი, მათ შორის არის ადაპტირებული წერტილი შშმ პირისთვის. გიმნაზია ამ ეტაპზე თბება შეშის ღუმელებით, რომლებიც ყველა საკლასო ოთახშია განთავსებული. აღსანიშნავია, რომ გიმნაზიის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე მშობელთა სათათბიროს და თვითმმართველობას დაწყებული აქვთ მოლაპარაკებები ქალაქის მერიასთან გიმნაზიის გაზიფიკაციასთან დაკავშირებით. გაზიფიკაცია გიმნაზიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ერთერთ ამოცანასაც წარმოადგენს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიის პირველ სართულზე განთავსებულ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს 7180 ერთეულს - 3542 მხატვრული ლიტერატურა, 3517 სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურა, მათ შორის ყველა კლასის და საფეხურის გრიფირებული სახელმძღვანელო. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია ელექტრონულ ანბანურ კატალოგში, შემუშავებულია და მოქმედებს წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები. ბიბლიოთეკაში გამოკრულია მუშაობის საათები და სარგებლობის წესები, რომელიც რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის დებულებით სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. შემუშავებულია ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა, რომელიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ითვალისწინებს მკითხველთა გააქტიურებას და მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლებას, რისთვისაც ბიბლიოთეკა იყენებს მკითხველთან მუშაობის სხვადასახვა მეთოდს და ფორმას: ლიტერატურული თამაშები; ვიქტორინები; მკითხველთა კონფერენციები; მშობელთა კლუბები; წიგნის კვირეულები; ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები; საგნობრივი წრეების ორგანიზება; შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან; შთაბეჭდილებები წაკითხულ წიგნებზე; ლიტერატურული მარათონი; ჩემი საყვარელი პერსონაჟი; ჩემი საყვარელი წიგნი; უკანასკნელი ზარი; ინტერგრირებული გაკვეთილი ბიბლიოთეკაში და სხვა. ბიბლიოთეკა მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: 9:00-დან 16:00-მდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	გიმნაზიას გაფორმებული აქვს მემორანდუმი და თანამშრომლობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის ჟურნალი; • წიგნადი ფონდის შესყიდვის დოკუმენტაცია; • ბიბლიოთეკის დებულება; • ბიბლიოთეკის სამოქმედო გეგმა; • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სსსმ და შშმ პირთათვის გიმნაზიის სართულებზე მოსახვედრად დამონტაჟებულია ასაკეცი მოძრავი პანდუსები. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი, რომელიც განთავსებულია შენობის პირველ სართულზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად ინტერნეტქსელში ჩართული 26 კომპიუტერი, მათ შორის 16 კომპიუტერულ ლაბორატორიაში, გიმნაზიის ადმინისტრაციის სარგებლობაშია: 10 კომპიუტერი, მათ შორის 1 განთავსებულია სამასწავლებლოში, 1 ბიბლიოთეკაში, 1 დირექტორის კაბინეტში, 1 ბუღალტერიაში, 1 ოფისმენეჯერის ოთახში, 4 ადმინისტრაციის ოთახში. 1 ფსიქოლოგის ოთაში. გიმნაზიის სარგებლობაშია 7 პრინტერი, აქედან 6 კომბაინი (2 ცალი ფერადი). საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციებს ასრულებს გიმნაზიის ვებ-გვერდი www.teiosi.edu.ge, ვებგვერდზე განთავსებულია: მისია, ისტორია, სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრატეგიული განვითარების გეგმა, წესდება, შინაგანაწესი, ინფორმაცია სკოლის სტრუქტურული ერთეულების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტომასალა. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ვებგვერდის სხვადასხვა ველის განახლება. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციებს ასრულებს ასევე გიმნაზიის ელ.ფოსტა zugdidi.gimnazia@gmail.com და ფეისბუქგვერდიც, მათი საშუალებით შესაძლებელია სკოლასთან კომუნიკაცია და ინფორმირება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეებზე. სკოლამ წარმოადგინა დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვებგვერდი www.teiosi.edu.ge; • სკოლის ელ.ფოსტა zugdidi.gimnazia@gmail.com • შესყიდვის დოკუმენტაცია; • დომენისა და ჰოსტიგის ხელშეკრულება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოლას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებაზე გიმნაზიაში გამოყოფილია შესაბამისი პირი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი სწავლება და წარმოდგენილი აქვს ცნობა. გიმნაზიამ წარმოადგინა აქტი N68, 12 ოქტომბერი, 2022, რითაც დასტურდება, რომ შპს „იმერეთის სახანძრო დაცვის“ სამსახურის მიერ, პერსონალს ჩაუტარდა 3 საათიანი ხანძარსაწინააღმდეგო ტექმინიმუმის ლექცია-საუბრები, თემაზე: ხანძრის თავიდან აცილება; ხანძრის შემთხვევაში მობილიზაცია (ხალხის საევაკუაციო მოქმედება); ხანძრის ლიკვიდაცია (სახანძრო პირველადი საშუალებების-სახანძრო ფარის აღჭურვილობის მოხმარება, ცეცხლმაქრობების გამოყენების წესები სპეციფიკის მიხედვით). სახანძრო დაცვის მიერ გიმნაზიაში დამუშავდა (გაიჟღინთა) ხის კონსტრუქციები სახანძრო და ანტისეპტიკური სილიკატური ხსნარით (შპს „იმერეთს სახანძრო დაცვა“ -აქტი N82, 12 ოქტომბერი, 2022 წ.). შესაბამის ადგილებზე განთავსებულია ახლად დატენილი 13 ცეცხლმაქრი. გიმნაზიის ყველა სივრცეში დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • შესყიდვის დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიის შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო, შესაბამის ადგილზე გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული საევაკუაციო გეგმები. სკოლას აქვს 2 სათადარიგო გასასვლელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • საკადასტრო აზომვითი ნახაზები; • საევაკუაციო გეგმები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულად შეესაბამება 2022 წლის 21 მარტის N41ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტს და სამედიცინო მომსახურების სივრცის ფუნქციონირების წესს. სკოლაში არის ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების გაწევისთვის საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით. კაბინეტში განთავსებულია: მაგიდა, საკაცე, მაცივარი, სამედიცინო ტახტი, შირმა და სხვა. კაბინეტში გამოკრულია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი, რომლის უფლება-მოვალეობები გაწერილია შინაგანაწესში. შემუშავებული და დამტკიცებულია პანდემიის პირობებში ექიმის მოვალეობები და სამოქმედო გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • საგანგებო სიტუაციების გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	• სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მექანიზმები; • ექიმთან გასაუბრების შედეგები;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიას შემუშავებულის აქვს ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (31.12.2021). გიმნაზიის უსაფრთხოებას მორიგეობით 9:00 საათიდან 17:00 საათამდე უზრუნველყოფს დაცვის 2 თანამშრომელი. სამუშაო დროის განმავლობაში გიმნაზიის ტერიტორიას აკონტროლებენ საგანგებოდ გამოყოფილი კომენდანტი და მორიგე-პედაგოგები. სასწავლო პერიოდში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ დამრიგებლები, ხოლო გიმნაზიის უსაფრთხოებას მორიგეობით 9:00 საათიდან 17:00 საათამდე უზრუნველყოფენ დაცვის 2 თანამშრომელი, საგანგებოდ გამოყოფილი კომენდანტი და მორიგე-პედაგოგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები • სკოლის დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს უზრუნველყოფს შიდა 9 და გარე პერიმეტის 7 კამერა, რომლებიც შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ვიდეო კამერების გამოსახულების მონიტორინგი და ჩაწერა ხორციელდება სპეციალურად გამოყოფილ ოთახში და მასზე პასუხისმგებლობა ეკისრება უსაფრთხოების დაცვის კომენდატს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიდეოკამერების შეძენის დოკუმენტაცია; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიაში გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვისთვის შემუშავებული წესდება, დებულება და შინაგანაწესი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და დამტკიცებულია გიმნაზიის დირექტორის მიერ. გიმნაზიის წესდების თანახმად ორგანიზაცია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით და დადგენილია ორგანიზაციის სტატუსი, საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და მიზნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	განსაზღვრულია დამფუძნებელთა კომპეტენცია, ორგანიზაციის ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის საკითხები. დოკუმენტის რეკვიზიტები და ბეჭედი. გიმნაზიას შემუშავებული აქვს დებულება, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 07.09.2022 წლის ბრძანებით და რომელიც განსაზღვრავს სასწავლო პროცესების ძირითად მიმართულებებს, მიზნებს და ძირითად ამოცანებს, სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს/მოვალეობებს და ასევე სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. გიმნაზიის შინაგანაწესი (დამტკიცებულია დირექტორის მიერ 05 სექტემბერი 2022 წელი) შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ის ვრცელდება გიმნაზიაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე გიმნაზიის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. შინაგანაწესი არეგულირებს საგანმანათლებლო საქმიანობას და განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს და ფარგლებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას, შრომითი ურთიერთობის პირობებს, შრომის ანაზღაურების, ასევე ზეგანაკვეთური ანაზღაურების, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს, წახალისების ფორმებს. დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს, მოსწავლეთა თვითმმართველობის უფლება მოვალეობებს და არჩევით წესს, გიმნაზიის სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს/მოვალეობებს და ასევე სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და განთავსებულია გიმნაზიის ვებ-გვერდზე. სამივე დოკუმენტში არის რიგი საკითხებისა, მაგ: გიმნაზიის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს/მოვალეობები, რომლებიც მეორდება, რასთან დაკავშირებითაც გიმნაზიის წარმომადგენლებს მიეცათ რჩევა გამიჯნონ საკითხები, რომლებიც კონკრეტული დოკუმენტებით დარეგულირდება, რათა თავიდან აიცილონ გაუგებრობები. წარმოდგენილი რეგულაციები ითვალისწინებენ მასწავლებლებისთვის თუ მოსწავლეებისთვის, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, მინიჭებულ ყველა უფლებას და გარანტიებს. მარეგულირებელი დოკუმენტებში მკაფიოდ და ნათლად არის წარმოდგენილი ყველა წესი და მათი ხელმისაწვდომობის და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით ისინი განთავსებულია გიმნაზიის ვებგვერდზე. საქმიანობის დაგეგმვასა და ეფექტიან წარმართვას ემსახურება ასევე გიმნაზიის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის, საგნობრივი კათედრის, პედსაბჭოს, სამედიცინო კაბინეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მშობელთა სათათბიროს და სხვა დებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გიმნაზიის დებულება; • გიმნაზიის წესდება; • ბიბლიოთეკის დებულება; • საგნობრივი კათედრის დებულება; • პედსაბჭოს დებულება; • სამედიცინო კაბინეტის დებულება; • მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება; • მშობელთა სათათბიროს დებულება. • გიმნაზიის შინაგანაწესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ ,, საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიამ“ თვითშეფასებასთან ერთად ცენტრში გადმოაგზავნა 2017/2018- 2022/2023 ს/წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა (დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2017 წლის 18 სექტემბერს) და 2023/2024-2028/2029 ს/წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი. წარმოდგენილ იქნა ასევე 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ასევე დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (№3/120 05 სექტემბერი 2022 წელი), სტრატეგიული განვითარების გეგმაში ასახულია სკოლის გრძელვადიანი პრიორიტეტული მიმართულებები მიზნები და ამოცანები, სამოქმედო კურსი, მიზნების მიღწევის გზები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის (SWOT ანალიზი) ასევე დირექციასთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას განხორციელდა სკოლის არსებული საქმიანობის შესწავლა და ანალიზი, მისი დასახულ მიზნებთან შესაბამისობის დადგენა, ძლიერი და სუსტი მხარეების, საჭირო სტრუქტურული და ფუნქციონალური ცვლილებების განსაზღვრა. გეგმა მოიცავს 5 პრიორიტეტულ მიმართულებას: სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება; გიმნაზიის ეფექტური მართვის მექანიზმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	შემუშავება; გიმნაზიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; სოციალური დაკვეთის დაკმაყოფილება. გიმნაზიის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი (2022-2023) სამოქმედო გეგმა 2021-2022 სასწალო წლის SWOT ანალიზს ეფუძნება. ანალიზში ასახულია სკოლის საჭიროების კვლევის შედეგები, რომელიც დაეყრდნო სკოლის ხარისხის მენეჯერის და მასწავლებლების წლიურ ანგარიშებს, მოსწავლეების, მასწავლებლების და მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვას (ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა კითხვარები და მათი ანალიზი). სამოქმედო გეგმა კონკრეტული მიზნების შესრულებაზეა ორიენტირებული და მოიცავს გიმნაზიის განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მართვის სტრატეგიებს, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნის მექანიზმებს, გიმნაზიის მართვასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს/პროცედურებს და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განახლებას, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების მექანიზმებს. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული მიზნები, სრულად მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას ემსახურება. <u>ექსპერტთა მიერ სკოლას მიეცა რჩევა - სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელ პირებთან ერთად აისახოს ინფორმაცია შემსრულებელი პირების და ასევე შესრულების ინდიკატორების შესახებ.</u> გიმნაზიამ წარმოადგინა ა(ა)იპ ,, საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ დირექტორის 2022 წლის 03 მაისი ბრძანებით №3/54 დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის მიზანს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს და ეტაპებს, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	მონიტორინგის და შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმებს და ეფუძნება პროცესის უწყვეტობას და დაგროვილი გამოცდილების რეგულარულ გამოყენებას. გიმნაზიაში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეფექტურად ორგანიზების მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც შემუშავებული მეთოდოლოგიით, განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოფს გიმნაზიის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებას. სწორედ მეთოდოლოგიის თანახმად შექმნილი ჯგუფის მიერ გიმნაზიაში შემუშავდა 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა და 2023/2024-2028/2029 ს/წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა; • სკოლის ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (პროექტი); • სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; • სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; • სკოლის SWOT- ანალიზი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიაში შემუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან და რომლის თანახმად სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. წესი დამტკიცებულია გიმნაზიის დირექტორის ბრძანებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	• შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი; • საერთო ბრძანების რეგისტრაციის ჟურნალი; • საკადრო ბრძანების რეგისტრაციის ჟურნალი; • შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი; • მშობელთა განცხადებების რეგისტრაციის ჟურნალი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	ექსპერტთა მიერ სკოლას მიეცა რჩევა - სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელ პირებთან ერთად ასახოს ინფორმაცია შემსრულებელი პირების და ასევე შესრულების ინდიკატორების შესახებ.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: **☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგიდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ 2022-2023 სასწავლო წლის შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებას უზრუნველყოფს 31 პედაგოგი. სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებაზე ზრუნავენ სკოლის დირექტორი, ორი მოძღვარი, ფსიქოლოგი, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ და აღმზრდელობით დარგში, ადმინისტრაციულ და საკანცელარიო საქმეთა მენეჯერი, ბუღალტერი, იურისტი, სამეურნეო ნაწილის გამგე, IT მენეჯერი, ექიმი პედიატრი, ბიბლიის წრის ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკარი, კომენდანტი, 2 დამლაგებელი და 1 დარაჯი. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია დებულებაში. მასწავლებელთა რესურსი საკმარისია სასკოლო საათობრივი ბადით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. სკოლას საშტატო განრიგის შესაბამისად ჯამში ჰყავს 49 თანამშრომელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგიდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ საშტატო განრიგი; • ადმინისტარციის პირადი საქმები; • მასწავლებელთა პირადი საქმები; • პერსონალთა პირადი საქმები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	31
მოწვეული/მაძიებელი	2 მოწვეული, 2 მაძიებელი
პრაქტიკოსი მასწავლებლი	4 უსტატუსო
უფროსი მასწავლებლი	17
წამყვანი მასწავლებლი	6
მენტორის სტატუსი	

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიის მასწავლებლები შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ კანონის, ესგ-ს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტის N 174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლაში 2 მოწვეულ, 4 უსტატუსო და 2 მაძიებელ მასწავლებელს აქვს განსხვავებული პირობით დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მათ ვალდებულება აქვთ ხელშეკრულების დადებიდან 2 წლის განმავლობაში დარეგისტრირდნენ და ჩააბარონ კომპეტენციის დადასტურების საგნობრივი გამოცდა. მოწვეული მასწავლებლების კვირეული საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 9 საათს. უსტატუსო მასწავლებლების პოზიციაზე გიმნაზიას გამოცხადებული აქვს კონკურსი. გიმნაზიის მასწავლებლების პირად საქმეებში სრულყოფილადაა წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია. დიპლომი, სერტიფიკატი, CV და ნასამართლეობის შესახებ ცნობა. ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა მხოლოდ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი ცნობები. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სქესობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	<u>თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ ცნობის მისაღებად სკოლის თანამშრომლება უკვე გაკეთებული ჰქონდათ განაცხადი შესაბამის მომსახურების სააგენტოში</u> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასკვნის პროექტის არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ყველა დასაქმებული პირის ცნობა, რაც შესწავლილ იქნა ექსპერტთა მიერ და რაც ადასტურებს, რომ არცერთი მათგანი არ არის ნასამართლევი (დანართი N1).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გიმნაზიის თანამშრომელთა პირადი საქმეები; • გიმნაზიის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • ცნობები ნასამართლეობის შესახებ; • სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგიდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, სადაც გაწერილია რომ თანამშრომელთა შერჩევა ხდება საქართველოს განათლების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	მეცნიერების, კულტურისა და სპროტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 176/ნ ბრაძანების შესაბამისად. თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლისა) ხდება გიმნაზიის ვაკანსიით დაინტერესებული პირის მიერ გიმნაზიაში განცხადების წარდგენით და გიმნაზიის დირექტორთან გასაუბრებით, დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება შესაძლებელია აგრეთვე ღია კონკურსის წესით, საჯაროდ ინტერნეტსივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე გამოცხადებით. შინაგანაწესი არეგულირებს თანამშრომლების წახალისების ფორმებს, ასევე განსაზღვრავს დასაქმებულ პირთა დისციპლინურ გადაცდომათა ნუსხას და შესაბამის დისციპლინურ სახდელებს. შინაგანაწესით გათვალისწინებულია მასწავლებლის და თანამშრომლის მიღების წესი. განხილული საკითხები ასევე გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რაც ადასტურებს არსებული რეგულაციების გამჭვირვალობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქო, ზუგიდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ შინაგანაწესი; • ადმინისტარციის პირადი საქმები; • მასწავლებელთა პირადი საქმები; • პერსონალთა პირადი საქმები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები და შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ხელშეკრულებით განისაზღვრება: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, სხვა პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. ყველა ხელშეკრულება დადასტურებულია ხელმოწერით. სკოლაში დასაქმებულ წამყვან მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია N174/ნ ბრძანებით განსაზღვრული ფუნქციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ადმინისტარციის პირადი საქმები; • მასწავლებელთა პირადი საქმები; • პერსონალთა პირადი საქმები; • თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიას შემუშავებული აქვს პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც დამტკიცებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის“ დირექტორის მიერ (ბრძანება №3/125, 07 სექტემბერი 2022 წელი). გიმნაზიის მასწავლებლები ჩართულნი არიან ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“ და შესაბამისად პროფესიული განვითარების მიზნით ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგებსა და აკრედიტებულ პროგრამებში. გიმნაზია უზრუნველყოფს მასწავლებელთა სახლის მიერ ორგანიზებული ტრენინგების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. გიმნაზიაში თანამშრომლობითი, შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის შესაბამისი გარემოა. სკოლის ხარისხის მენეჯერი კოორდინირებას უწევს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და ამ მიზნით მონიტორინგს უწევს საგაკვეთილო პროცესს, სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის მიზნით, აორგანიზებს გაკვეთილებზე დასწრებას წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით. მასწავლებლები ესწრებიან, განიხილავენ და აანალიზებენ ერთმანეთის გაკვეთილებს, ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სახავენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების გზებს, კათედრებზე მუდმივად ატარებენ სამუშაო შეხვედრებს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას ისეთი მეთოდების გამოყენებასა და შემუშავებაში, რომლებიც აამაღლებს მოსწავლეთა ცოდნის დონეს სოციალურ, კულტურულ, სამეცნიერო, ტექნიკურ და ეთიკურ საკითხებში. გიმნაზიას მიეცა რჩევა - მასწავლებლების პროფესიული განვითარების მექანიზმებთან ერთად შეიმუშავოს სხვა დასაქმებული პერსონალის განვითარების მექანიზმებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროგრამა.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიაში შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტაციის მიხედვით, პასუხისმგებლობები და მოვალეობები გადანაწილებულია, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობითი გარემოს შექმნას და სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას ვიზიტის პერიოდში გიმნაზიაში ჩატარდა გასაუბრებები მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან. მასწავლებელთა განმარტებით სკოლა აქტიურად ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე და მხარს უჭერს მათ ინიციატივებს. მშობელთა მოსაზრებით სკოლაში არის დაცულობის ატმოსფერო, მათი შვილები გადასახადების გარეშე იღებენ მაღალი ხარისხის განათლებას და თავად ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის ცხოვრებაში. მოსწავლეთა შეფასებით გიმნაზია მათთვის მეორე ოჯახს წარმოადგენს, სადაც ყველა ზრუნავს მათ გონებრივ და სულიერ განვითარებაზე. მათ ჰყავთ პროფესიონალი, მოსიყვარულე მასწავლებლები, რომლებიც მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით თითოეული მათგანის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ და საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან სიძნელეების გადალახვაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	• ხარისხის მენეჯერის ანგარიში.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	გიმნაზიას მიეცა რჩევა - მასწავლებლების პროფესიული განვითარების მექანიზმებთან ერთად შეიმუშავოს სხვა დასაქმებული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმებიც.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი N1 - სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები;

გვერდების რაოდენობა - 60
თბილისი, 22.12.2022

60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.